პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ეროვნული ბიბლიოთეკა

6

ნოემბერი

ორშაბათი,
1961 წ.
№ 179 (1815)
გამოდის 1961-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

მომავალი წლიდან „ა“ კლასის ფეხბურთელთა საკავშირო პირველობაზე მონაწილეობას მიიღებს ქუთაისის „ტორპედო“

თბილისის „ლოკომოტივისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ მატჩის ანგარიში იხ. მე-3 გვერდზე.

სურათზე: ქუთაისელ ხაჟალიას ბურთი გააქვს „კალევის“ კარში.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

დღის წესრიგშია III სპარტაკიადა

რამდენიმე დღეა, რაც მოსკოვში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ. ჩვენი ცხოვრების ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა წარუშლელი იქნება საბჭოთა ადამიანებისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის მეხსიერებაში. ყრილობამ ერთხმად მიიღო პარტიის ახალი პროგრამა, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროგრამა. საბჭოთა ხალხი თვალნათლივ ხედავს კომუნიზმის კაშკაშა მწვერვალებს. იგი მიილტვის მისკენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით. პროგრამის პროექტში დიდი ადგილი უჭირავს საბჭოთა ადამიანის ფიზიკურად განმტკიცების საქმეს, დასახულია ის გზები, რომლითაც უნდა განვითარდეს საბჭოთა ფიზკულტურა და სპორტი — ჯანმრთელობის წყარო.

ამ დიადი პროგრამის ფონზე უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასობრივობას — ჩვენს დასაყრდენს, ძირითად საშუალებას. მხოლოდ მასობრივობის ფართო გაშლით შეგძლებთ ჩვენ სასურველი მიზნის მიღწევას — საბჭოთა ადამიანების, კომუნიზმის მშენებელი ადამიანების ფიზიკურად გამოწრთობას. ამ მხრივ მეტად დიდი ნაყოფი შეუძლია მოგვცეს კომპლექსურმა შეჯიბრებებმა და, პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადამ.

ეს საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიება მოიცავს ჩვენი ცხოვრების ყველა ფენას. გავიხსენოთ პირველი ორი სპარტაკიადის შედეგები. მასში მონაწილეობა მიიღო მრავალმა მილიონმა ფიზკულტურელმა, ათასებმა შეასრულეს სათანადო ნორმები, გაუმჯობესდა მრავალი რეკორდი. საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებმა თავისი კვალი დაჩნია საბჭოთა სპორტის შემდგომ განვითარებას. მიზანი მიღწეულ იქნა: ერთიორად გაიზარდა ჩვენი რიგები, ერთიორად ამაღლდა ოსტატობა. სწორედ მასობრივი მუშაობის ფართოდ დანერგვით და ახალი ტალანტების უხვად გამოვლინების შედეგად საბჭოთა სპორტული დელეგაციის მიერ მოგებულ იქნა რომის ოლიმპიადა.

მაშ ასე, დღის წესრიგშია საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადა — III გრანდიოზული ღონისძიება საბჭოთა სპორტის ისტორიაში. რასაკვირველია, მისმა დებულებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. პირველი ცვლილება ის არის, რომ გაიზარდა პროგრამა. ახლა იგი სპორტის 23 სახეობას მოიცავს (დაემატა აკადემიური ნიჩბოსნობა, ტრეკზე რბოლა და სხვ.). ამას გარდა, მოეწყობა პარალელური შეჯიბრებები საწარმო.-ს, სასოფლო, სასკოლო კოლექტივებს შორის. ამრიგად, თვითეული დელეგაცია სპარტაკიადაზე უნდა წარსდგეს 961 კაცით. აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრ სახეობაში გუნდები დაკომპლექტებული უნდა იყოს მხოლოდ ოსტატებით და, რაც მთავარია, ყველა სახეობა ჯამში თანაბარ ქულას იძლევა. სპარტაკიადის ფინალი შედგება მოსკოვში, 1963 წელს.

მაშასადამე, ახლა რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების უპირველესი საქმეა მზადება ამ დიდი შეჯიბრებისათვის, ახლა ყველა ორგანიზაციამ უკანა პლანზე უნდა გადაწიოს საუწყებო ინტერესები. რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს საუკეთესო მწვრთნელები, რეზერვები, ბაზები, ინვენტარი! რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს მეცნიერულ საფუძველზე აგებული შორსგამიზნული სამეცადინო გეგმა-გრაფიკები! თუ აქედანვე ასეთი დევიზით არ ვიმუშავეთ, ჩვენი მიზანი განუხორციელებელი დარჩება და შეიძლება წინა სპარტაკიადებზე მოპოვებული საერთო V ადგილიდან უკან დავიხიოთ.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ შეჯიბრება 1963 წელს ტარდება და განგაში ნაადრევია. არა. სწორედ ახლა უნდა ვიცოდეთ (სორიენტაციოდ მაინც) თუ ვინ დაიცავს რესპუბლიკის სახელს სპარტაკიადაზე. ამისათვის კი საჭიროა განსაკუთრებული მუშაობა იმ თაობასთან, რომელიც 1963 წლისათვის მომწიფდება და თამამად ამოუდგება მხარში ჩვენს ვეტერანებს.

სპარტაკიადა რომელიმე ცალკე უწყების ღონისძიება კი არაა, არამედ იგი საკავშირო და ამიტომ თვითეული რაიონი, ქალაქი უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი ჰყავდეს იმ 961-კაციან დელეგაციაში, რომელიც მოსკოვში წარსდგება. ამ მხრივ მეტად ცუდად გვქონდა საქმე პირველ ორ სპარტაკიადაზე. ძირითადი ნაწილი სპორტსმენებისა, თბილისიდან იყო. რამდენიმე სპორტსმენით იყო წარმოდგენილი ქუთაისი, აჭარა, აფხაზეთი და რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონი. ასეთივე სურათი გამეორდა მომდინარე წელს. მოსწავლე-სპორტსმენთა საკავშირო სპარტაკიადაზე ბაქოში გაიგზავნა დელეგაცია, რომელიც ძირითადად თბილისელებისაგან შედგებოდა. არის რაიონები, რომლებიც სრულებით არ ჩანან რესპუბლიკის სარბიელზე. ჰყავთ ერთი ასე თუ ისე შეკოწიწებული ფეხბურთის გუნდი, სპორტკავშირის თავმჯდომარე მას რაიონიდან რაიონში დაბაჯვება და ამით თავდება ყველაფერი. თვითეული რაიონიდან რესპუბლიკის ნაკრები გუნდისათვის ერთი მომავლის მჭონე სპორტსმენი მაინც რომ გამოვლინდეს, საქმე შესანიშნავად გამომჯობინდება. კარგი მონაცემების მქონე სპორტსმენები კი მოიძებნება. ხომ მოიძებნა გუდაშვილი და გორძემაშვილი დუშეთის რაიონში? ორივე სპორტსმენი ახლა მძლეოსანთა ნაკრებ გუნდში ირიცხება. ასევე შეიძლება მოიძებნოს ვანის ან ახმეტის რაიონში, მესტიის თუ ახალციხის რაიონში. მხოლოდ საჭიროა საქმისადმი სიყვარული და რესპუბლიკის სპორტული ღონისძიების პატივისცემა.

ჩვენ ამ წერილით შევახსენეთ რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს სპარტაკიადა. ახლა განზრახული გვაქვს მის პროგრამაში შემავალი ცალკეული სახეობების დეტალური განხილვა და საუბარი პერსპექტივებზე. საერთოდ, ვთხოვთ მწვრთნელებსა და სპორტსმენებს მოგვაწოდონ თავიანთი აზრები სპარტაკიადის გარშემო წამოჭრილ საკითხებზე და ამის შესახებ, თუ როგორ გამოვიყენოთ და აღვზარდოთ რეზერვი.

წინა ორ სპარტაკიადაზე დაკავებული V ადგილი რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებრიობას აღარ აკმაყოფილებს, საჭიროა წინ გადანაცვლება.

მაშ ასე. დღის წესრიგშია საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადა!

ტრადიციებს არ ღალატობენ

ლვოვში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ პირად-გუნდური პირველობის გათამაშება ფარიკაობაში.

შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის მოზარდი მოფარიკავეები, რომლებმაც პირველობა მოიპოვეს და ხელი შეუწყეს საქართველოს გუნდის საერთო მეორე ადგილზე გასვლას კომპლექსურ ჩათვლაში, რადგან მოზრდილებმა მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავეს. საერთო პირველ ადგილზე გავიდნენ ბელორუსი სპორტსმენები, მესამეზე — მოსკოველი მოფარიკავეები.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ჩვენმა მოფარიკავეებმა პირად ჩათვლაშიც: გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ესპადრონით ბრძოლაში — ნ. ასათიანი და რაპირით მოფარიკავე ი. ოსიპოვი, რომელმაც დამატებით ბრძოლაში დაამარცხა XVII ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო პირველობის პრიზიორი ი. სისიკინი. კარგად გამოვიდა გ. ანდრიაძეც, რომელმაც მოზარდ რაპირისტთა შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა. დაშინთ შებრძოლთა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო ბელორუსელი ი. სმოლიაკოვი. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი შ. სულამანიძე მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

ქალთა შორის პირველობა მოიპოვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. პრუდსკოვამ (რსფსრ), გოგონათა შორის საუკეთესო იყო მოსკოველი ნ. ორეშინა. თბილისელი დ. ლორთქიფანიძე მეორე საჭრიზო ადგილზე გამოვიდა.

ი. ლობჟანიძე — უკრაინის დამსახურებული მწვრთნელი

არც ისე დიდი ხანია, რაც ოდესის არმიელთა სპორტული კლუბის ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელად მუშაობს წარსულში თბილისის არმიელთა სპორტული კლუბის გუნდის მწვრთნელი ი. ლობჟანიძე. ოდესაში მუშაობის პერიოდში მან მტკიცე, მონოლითური კოლექტივი შექმნა, რომელმაც მიმდინარე საფეხბურთო სეზონში უკრაინის ერთ-ერთი ზონის გუნდების ტურნირში შეძლო მოეპოვებინა უძლიერესის სახელი.

ამას წინათ ოდესის სამხედრო ოლქიდან საქართველოს სპორტკავშირში მოვიდა დეპეშა, რომელშიც ლაპარაკია ლობჟანიძის ნაყოფიერ მუშაობაზე, რისთვისაც მას მიენიჭა უკრაინის დამსახურებული მწვრთნელის წოდება ფეხბურთში.



კორეა

აღმოსავლეთ კორეის ყურის ერთ-ერთ ნაპირზე ორი ბავშვი ერთობოდა. მოულოდნელად ერთი მათგანი წყალში გადავარდა. რამდენიმე წამის შემდეგ იგი სიკვდილს გადაარჩინა საბჭოთა კავშირის მოქალაქემ, რომელიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, ხარკოვის „ავანგარდის“ ფეხბურთელი ი. ნესტეროვი იყო, იგი იქვე ახლოს, ნაპირზე ასრულებდა ფიზდაჭურვას.

საბჭოთა ფეხბურთელის მიერ კორეელი ბავშვის იუნ ენ ჩხომის გადარჩენის ამბავი სწრაფად მოედო ქალაქს და ყველას სურდა ენახა ნესტეროვი, რომელიც საბჭოთა გუნდის ღირსებას იცავდა ფხენიანის ნაკრებთან მატჩში. ეს საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

პოლონეთი

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში საერთაშორისო შეხვედრები დაამთავრა რიგის „დაუგავამ“. მას უკანასკნელი მატჩი ჰქონდა ქალაქ მელეცში „სტალის“ წინააღმდეგ. საბჭოთა ფეხბურთელებმა პირველ ნახევარში გაიტანეს გოლი, რაც ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში და გამარჯვება მოუტანა „დაუგავას“.

ბულგარეთი

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში საერთაშორისო მატჩებს მართავს როსტოვის არმიელთა სპორტული კლუბის ფეხბურთელთა კოლექტივი. მის წინააღმდეგ თამაშობდა ბულგარეთის არაერთგზის ჩემპიონი, სოფიის სახალხო არმიის ცენტრალური სახლის კოლექტივი. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 3:1.

დაიწყო ფინალური თამაშები

ქვეჯგუფებში ბოლო ტურს უნდა გამოერკვია ფრენბურთელთა რესპუბლიკური ტურნირის ფინალისტები. ქალთა შორის ფინალში მოხვდნენ აფხაზეთის ფრენბურთელები, რომლებმაც ადვილად სძლიეს რუსათვის სპორტსმენებს — 3:1. (15:9; 15:12; 13:15; 15:4).

განსაკუთრებული დაძაბულობით ხასიათდებოდა შეხვედრები ფრენბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის. ფინალში გასვლის პრეტენდენტების — პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და აჭარის კოლექტივების შეხვედრაში 5 პარტია გათამაშდა. პირველ პარტიას იგებენ აჭარის წარმომადგენლები — 15:13. მეორე პარტიაში კი ასეთივე ანგარიშით გამარჯვებული სტუდენტები აღმოჩნდნენ. შემდგომი შეხვედრაც თბილისელთა სასარგებლოდ დამთავრდა (15:8), მაგრამ აჭარის კოლექტივი კვლავ წარმატებას აღწევს და ანგარიში თანაბრდება — 2:2. გადამწყვეტ პარტიაში თბილისელი სტუდენტები გადიან წინ (15:9) და ფინალურ ჯგუფში გასვლის უფლებას იპოვებენ.

უკვე გაირკვა ყველა ფინალისტი. ქალთა საფინალო ჯგუფში მოხვდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, აფხაზეთისა და აჭარის კოლექტივები. ვაჟთა შორის ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს ფიზკულტურის, სასოფლო-სამეურნეო, პოლიტექნიკური ინსტიტუტებისა და რუსთავის ფრენბურთელთა გუნდებმა.

ფინალური შეხვედრების პირველი დღე მოულოდნელობით არ აღნიშნულა. ქალთა გუნდებს შორის კვლავ ლიდერების რიგებში არიან სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდები. პირველმა გაიმარჯვა აჭარის გუნდზე — 3:0, მეორემ კი სძლია აფხაზეთის ფრენბურთელებს — 3:1.

არ შეცვლილან ლიდერები ვაჟთა გუნდებს შორისაც. კვლავ დაუმარცხებლად მიიწევენ წინ სასოფლო-სამეურნეო და ფიზკულტურის ინსტიტუტების ფრენბურთელთა კოლექტივები. ფინალის პირველ ტურში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი — 3:0, ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელებმა კი ასეთივე ანგარიშით სძლიეს რუსთაველ სპორტსმენებს.

გრძელდება შეხვედრები გუნდებს შორის, რომლებიც 5-8 ადგილებისათვის მებრძოლ ჯგუფებში არიან. ქალთა გუნდებს შორის კვლავ წარუმატებლად გამოდის გასული წლის საქართველოს სსრ ჩემპიონი — პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი, რომელმაც დამარცხება განიცადა გორელ ფრენბურთელებთან — 0:3. ასეთივე ანგარიშით წააგეს რუსთაველებმა ქუთაისელებთან.

ვაჟთა შორის მეხუთე ადგილისათვის ბრძოლა უფრო დაძაბულად მიმდინარეობს. განსაკუთრებული სიმწვავით ხასიათდებოდა ძველი მეტოქეების — აჭარისა და აფხაზეთის ფრენბურთელთა შეხვედრა. აჭარის სპორტსმენებმა პირველი პარტია მოიგეს ძალზე იოლად — 15:1, მაგრამ შემდგომ პარტიებში ისინი დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ და მხოლოდ მეხუთე პარტიაში შეძლეს აჭარელმა სპორტსმენებმა მატჩის ბედის გადაწყვეტა თავის სასარგებლოდ — 3:2 (15:1, 12:15; 15:12; 12:15; 15:10). გორელმა ფრენბურთელებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს ქუთაისელები.

გუშინ, გვიან საღამოს, ფრენბურთელთა ჩემპიონატი დამთავრდა. საბოლოო შედეგები იხილეთ ჩვენი გაზეთის მორიგ ნომერში.

ლ. თუშიშვილი

ქროსის დისკუსიაზე

300 სპორტსმენი მონაწილეობდა აჭარის სპორტკავშირის მიერ მოწყობილ მძლეოსნურ ქროსში. აქ აჭარა იყო ბათუმის ენერგეტიკული ინსტიტუტის - ბერეტესობა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ბათუმის რაიონისა და ქობულეთის - სპორტსმენები.

პირად ჩათვლაში 300 მ რბენაში ფინიშთან პირველი მივიდა ბათუმის მე-3 საშ. სკოლის მოსწავლე-გოგონა ვ. არტიომენკო. გოგონათა შორის 500 მეტრზე გაიმარჯვა ბათუმის მე-8 საშუალო სკოლის მოსწავლე ზ. ვინოსლავსკაიამ, ჭაბუკთა შორის 500 მეტრზე რბენაში — მისმა თანაგუნდელმა ტ. შერენკოვმა, 1000 მეტრზე რბენა ჭაბუკთა შორის მოიგო ბათუმის რაიონის წარმომადგენელმა გ. ჭანტურიამ, ხოლო 1500 მეტრზე რბენა — ი. ნიკოლაევმა.

გ. ჭანტურია

ბურთი ავტოგრაფით

ერთ თვეზე მეტხანს მიმდინარეობდა თბილისის მე-100 საშუალო სკოლის პიონერთა რაზმები შორის შეჯიბრება ფეხბურთში.

სკოლის პიონერთა რაზმეულმა (უფროსი პიონერხელმძღვანელი ნ. მაჭავარიანი) სკოლის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოსთან ერთად შეიმუშავა ამ შეჯიბრების დებულება, სადაც ჩაწერა: „ფინალურ თამაშს იმსჯელებს ცნობილი ფეხბურთელი მიხეილ მესხი და გამარჯვებულ გუნდს გადასცემს ბურთს, რომელზედაც ის თავის გვარსა და სახელს მოაწერს“.

ამ დღეებში შედგა ფინალური თამაში, სადაც იმსჯა მ. მესხმა. მან გამარჯვებულ VII² კლასის გუნდს გადასცა ბურთი, რომელზედაც შემდეგი წააწერა: „გამარჯვებულ ფეხბურთელთა გუნდს. მ. მესხი“.

შეჯიბრება, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია, სკოლაში ყოველ შემოდგომას ჩატარდება. 1962 წლის სექტემბრიდან კვლავ დაიწყება ბრძოლა ამ ორიგინალური პრიზის მოსაპოვებლად.

ი. როინიშვილი,
თბილისის მე-100 საშ. სკოლის ფიზიკოზრდის უფროსი მასწავლებელი.

არც ისე უგრალო ფაქტია

თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში ქართველ ფალავანთა წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ სამბისტთა საკავშირო პირველობის ფინალში რამდენიმე ქართველს უნდა ებრძოლა ოქროს მედლისათვის — ეს უბრალო სანახაობის ფარგლებს სცილდებოდა და კაცი არ გვეგონა ჩვენზე ბედნიერი, როცა ქუჩაში ასობით უბილეთო მაყურებლიდან შედარებით იღბლიანები აღმოჩნდით და „ციდან ჩამოვარდნილი“ ბილეთებით ლენინის სახელობის დარბაზის მეორე სართულზე მოვხვდით.

ჩვენ არ ვილაპარაკებთ იმ აღტაცებაზე, რაც ქართველ ფალავანთა გამარჯვებით განვიცადეთ. ეს სიხარული მეორე დღეს ასეულ ათასობით გულშემატკივარმა გაიზიარა გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობების საშუალებით.

მკითხველთა სიგნალები

ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ერთი შეხედვით თითქოს და უბრალო, მაგრამ სინამდვილეში საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტი: კასრში ჩაყრილ ქაშაყებივით ერთმანეთზე მიკრულ მაყურებელთა სიმრავლის გამო, ძნელი სათქმელია იმ დღეს ვინ უფრო დაღვარა ოფლი, ჩვენ თუ მოჭიდავეებმა. ეს რასაკვირველია, დარბაზის ხელმძღვანელობას არ მოეთხოვება, მაგრამ განვიხილოთ ამ საკითხის მეორე მხარეც.

პირველ სართულზე არის საპირფარეშოები, როგორც სპორტსმენებისათვის, ისე მაყურებლებისათვისაც. პირველ სართულზევეა ბუფეტი, სადაც შეიძლება მსგავს სიტუაციაში პირი გაიგრილო ლიმონათით ან ლუდით, თუ ფული არ გაქვს დაკმაყოფილდე ცივი წყლით, მაგრამ რა ქნას მეორე სართულზე მყოფმა მაყურებელმა, რომელსაც ფული აქვს ბილეთში გადახდილი, არც გულშემატკივრობით ჩამორჩება პირველ სართულზე მყოფ მაყურებლებს, მაგრამ რატომღაც სრულიად მოწყვეტილია ზემოხსენებულ პრივილეგიებს?

ლენინის სახელობის სადემონსტრაციო დარბაზს არა გვგონია თავისი ფუნქციები დაკარგული ჰქონდეს სპორტის სასახლის გახსნასთან დაკავშირებით და რადგან ეს ასეა, მაყურებელთა მომსახურების დაკმაყოფილებაც უნდა გაითვალისწინონ. ეს უნდა გაითვალისწინონ პირველ რიგში თბილისის სპორტულ ნაგებობათა მმართველმა ნ. პაშიკოვმა და თბილისის სპორტკავშირის ხელმძღვანელობამ.

თ. კერესელიძე,
რ. კაციაშვილი,
ჯ. ბახტაძე,
ჯ. ციცქიშვილი.





ისევ მდინარე რიონზე

საქართველოს 1961 წლის პირველობა სპორტკავშირის პრიზზე

ტრადიციად დამკვიდრდა: საზაფხულო სპორტული სეზონის „ფარდის დაშვების წინ“ თავიანთი ძალები ერთხელ კიდევ სცადონ რესპუბლიკის ნიჩბოსნებმა. ამჯერად საქართველოს სპორტკავშირის პრიზზე, მდინარე რიონზე გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის ფოთში თავი მოიყარეს „განთიადის“, „ბურევესტნიკის“, „დინამოს“, „ვოდნიკისა“ და „შრომითი რეზერვების“ კოლექტივებმა. უნდა ითქვას, რომ ამჯერადაც ისე, როგორც ყოველი სეზონის ბოლოს, ნაჩვენები იქნა დამაკმაყოფილებელი შედეგები.

შეჯიბრება გახსნეს ოთხმოსასმელიანი ბაიდარებით 500 მეტრზე რბოლის მონაწილე ქალებმა, სადაც უძლიერესი აღმოჩნდა ფოთის „კვარტეტი“ — ფ. ბაიდანოვას, ს. ბაიდანოვას, ტ. ქირიასა და ლ. სლინიავჩუკის („ვოდნიკი“) შემადგენლობით. ამის შემდეგ ბრძოლაში ჩაებნენ ვაჟებიც.

ერთადგილიანი ბაიდარებით 1000 მეტრზე ბურევესტნიკელმა ნ. ხლოპკოვმა არავის დაუთმო პირველობა. ორადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში ძლიერი გუნდები გამოიყვანეს მოწინააღმდეგეებმა, რამაც შეჯიბრების სანახაობითი მხარე უფრო საინტერესო გახადა. ბრძოლა მოიგეს „ვოდნიკის“ წარმომადგენლებმა — ნ. ბაიდანოვმა და ნ. ტროფიმენკომ.

ერთმოსასმელიანი კანოეთი შეჯიბრებაში (დისტანცია 1000 მეტრი) გამარჯვებული გამოვიდა განთიადელი დ. ხოშიბაევი. მოულოდნელობას მა ნ ც ვერ ა ცდა შეჯიბრება. ეს იყო რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონების, სპორტის ოსტატების ს. ხამხაძისა და ლ. ბერიძის დამარცხება 1000 მეტრზე ორადგილიანი კანოეთი შეჯიბრების დროს. მათ წააგეს ახალგაზრდა ბათუმელ ნიჩბოსნებთან ა. გლუშჩენკოსა და ი. ქანდაუროვთან („განთიადი“).

ქალთა რბოლა ორადგილიანი ბაიდარით კვლავ ფოთელი სპორტსმენების — ფ. ბაიდანოვასა და ლ. სლინიაჩუკის („ვოდნიკი“) გამარჯვებით დამთავრდა. დიდ წარმატებას მიაღწია ო. მარეხაშვილმა. მან 500 მეტრზე რბოლაში 9 სპორტსმენთან ჭიდილში, რომელთა შორის 4 ოსტატი იყო, ბრწყინვალედ გასცურა დისტანცია და შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. ოსტატობა მოიპოვეს აგრეთვე პირველთანრიგოსნებმა ნ. შეპეტკოვმა და გ. ქერქაძემ, რომლებიც ფოთის „ვოდნიკის“ ოთხადგილიანი ბაიდარით სპორტის ოსტატებთან ა. მატკავასა და ნ. ბაიდანოვთან ერთად პირველები იყვნენ ფინიშზე. ესტაფეტები 4×500 მეტრზე ქალთა შორის მოიგეს ვოდნიკელებმა, ვაჟთა შორის — „ბურევესტნიკის“ სპორტსმენებმა, კანოისტთა ესტაფეტაში 4×500-ზე პირველი იყო „განთიადის“ გუნდი.

შეჯიბრება დამთავრდა. საერთო პირველი ადგილი და საქართველოს სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს გარდამავალი პრიზი მოიპოვეს „განთიადის“ ნიჩბოსნებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა „ბურევესტნიკი“, მესამეზე — „ვოდნიკი“.

ა. ლომაია,
ჩვენი საკ. კორ.

სურათებზე: მარცხნივ — ფოთის „ვოდნიკის“ ოთხმოსასმელიანი ბაიდარი, რომელიც ფინიშზე პირველი იყო. მარჯვნივ — ორადგილიანი კანოეთი შეჯიბრებაში გამარჯვებული „განთიადის“ სპორტსმენები ა. გლუშჩენკო და ი. ქანდაუროვი დისტანციაზე. ქვევით — ა. მატკავა, რომელიც პირველი იყო ერთადგილიანი ბაიდარით რბოლაში.

ფოტო რ. ღვამიჩავასი.

ლ ე ლ ო

მე-2 გვ. № 179 (1815)

გათამაშება
დამთავრდა

„ტორპედო“ — „ლოკომოტივი“ — 2:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

? ვინ თამაშობენ „ბურთში“ ?

ქუთაისის „ტორპედო“!



ტალინის „კალევისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ მეორე შეხვედრაში ქუთაისელთა მეკარე ურუშაძემ რამდენჯერმე იხსნა საკუთარი კარი აშკარა გოლისაგან. ამ სურათზეც ერთი ამგვარი მომენტია აღბეჭდილი. ურუშაძე იღებს ძნელ ბურთს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

გუშინ კიშინიოვში საბოლოოდ გადაწყდა საკითხი, თუ რომელი გუნდი ითამაშებს მომავალ წელს საკავშირო პირველობაზე „ა“ კლასში. თამაშობდნენ საქართველოს გუნდები — ქუთაისის „ტორპედო“ და თბილისის „ლოკომოტივი“. მიუხედავად იმისა, რომ ტალინის „კალევმა“ ტურნირი 4 ქულით დაამთავრა, მისთვის ყველაფერი ჯერ კიდევ არ იყო დაკარგული და ტალინელები მოუთმენლად ელოდნენ მსაჯის საფინალო სასტვენს. ამ დღეს ისინი თბილისელთა ნამდვილი გულშემატკივრები იყვნენ, ყველაზე მეტად სწორედ მათ სურდათ „ლოკომოტივის“ გამარჯვება, რადგან ამ შემთხვევაში სამივე გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა — 4-4 უგროვდებოდათ და მაშინ საკითხს წყვეტდა ბურთების სხვაობა.

გამარჯვების დიდი სურვილით გამოვიდნენ მოედანზე თბილისელი ფეხბურთელები და უკვე მატჩის დასაწყისიდან დაეუფლნენ მინდორს, მაგრამ „ტორპედოს“ დაცვა ამ დღეს საუკეთესოდ თამაშობდა. პირველი ნახევარი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

„ტორპედოს“ ერთი ქულაც ყოფნიდა „ა“ კლასის საგზურის მისაღებად, და ალბათ ამიტომაც იყო, რომ მათ თამაშში დასაწყისში იგრძნობოდა ნერვიულობა, რაც მალე გაქრა. ანსამბლი კვლავ აეწყო და ახლა ისინი თითქმის დასახლდნენ „ლოკომოტივის“ ნახევარზე. ქუთაისელთა ერთ-ერთი იერიშის დროს თბილისელმა მცველებმა უმეთვალყუროდ დატოვეს ხაჟალია, რომელმაც შესანიშნავად გამოიყენა ეს „წყალობა“ და ანგარიში გახსნა.

ამის შემდეგ მატჩი ერთხანს გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, დროდადრო იგრძნობოდა ქუთაისელთა ტექნიკური სიმწიფე და ნაყოფიც მალე იქნა მომკილი — ლეუავას დარტყმის მერე მეორე გოლი აღმოჩნდა „ლოკომოტივის“ კარში. თითქოს ეს გახდა ნიშანი — თბილისელებმა თავგამოდებით იწყეს თამაში და თუ მათ სასურველს ვერ მიაღწიეს, ამაში ბრალი მიუძღვის მხოლოდდამხოლოდ „ტორპედოს“ მეკარის ურუშაძისა და მცველთა მთელი რგოლის ბრწყინვალე თამაშს. მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე სიამაშვილმა გუნდი იხსნა მშრალი ანგარიშით წაგებისაგან.

მატჩი მოიგო „ტორპედომ“ — 2:1 და მიიღო „ა“ კლასის საგზური.

* * *

გათამაშების საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (ქუთაისი)	4	3	0	1	7:4	6
„კალევი“ (ტალინი)	4	2	0	2	4:2	4
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	4	1	0	3	3:8	2

„კრილია სოვეტოვი“ „ა“ კლასში

კრასნოდარი. (ტელეფონით). დამთავრდა რსფსრ-ს ზონებში გამარჯვებული 6 გუნდის ტურნირი. ისინი თორმეტი დღის განმავლობაში ერთმანეთს ებრძოდნენ „ა“ კლასის საგზურისათვის. უკანასკნელი ტურის წინ 6-6 ქულა ჰქონდათ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვსა“ და გროზნოს „ტერეკს“ და ამდენად ბოლო ტურის მატჩებზე იყო დამოკიდებული, თუ რომელი გუნდი მიიღებდა ამ ერთადერთ საგზურს.

უკანასკნელ ტურში „ტერეკს“ შეხვედრა ჰქონდა კიროვის „დინამოსთან“ და იგი დამთავრდა ფრედ — 1:1. სამაგიეროდ, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა“ კარგად ჩაატარა მატჩი კალინინის „ვოლგასთან“, დაამარცხა იგი 3:1 და მოაგროვა 8 ქულა (10 შესაძლებლიდან).

მომავალ საფეხბურთო სეზონიდან კუიბიშევი ფეხბურთელები კვლავ დაუბრუნდებიან „ა“ კლასს, სადაც დაიკავებენ ვორონეჟის „ტრუდის“ ადგილს.

მ ა ტ ჩ ი
არ შედგება

დამთავრდა უკრაინის ზონებში გამარჯვებული კოლექტივების — ოდესის „ჩერნომორეცისა“ და არმიელ ფეხბურთელთა ტურნირი რესპუბლიკის ჩემპიონის გამოსავლინებლად. ამ კოლექტივების პირველი მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

განმეორებით შეხვედრაში თამაში უფრო საინტერესოდ მიმდინარეობდა. განსაკუთრებით გეგმიანად მოქმედებდა „ჩერნომორეცი“ და გაიმარჯვა — 2:1. ამრიგად, უკრაინის ჩემპიონობა და მასთან ერთად „შახტიორთან“ „ა“ კლასში გადასასვლელ მატჩებში თამაშის უფლება მოიპოვა ოდესის „ჩერნომორეცმა“, მაგრამ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით „შახტიორი“, როგორც საკავშირო თასის მფლობელი, დატოვებულ იქნა „ა“ კლასში. ამიტომ მისი მატჩი „ჩერნომორეცთან“ არ შედგება.

გათამაშებულია
VI ტური

ჭინიაჩკა-ბანია

ჭინიაჩკა-ბანია. (ტელეფონით). პრეტენდენტთა ტურნირის V ტურში კვლავ საერთო ყურადღებას იპყრობდნენ საბჭოთა მოჭადრაკეების პარტიები. შეჯიბრების ლიდერი გაფრინდაშვილი შეხვდა ბელორუსიის ჩემპიონს ზვორიკინას, მათი პარტიები ყოველთვის გამორჩეოდა შეუპოვარი ბრძოლით. ზვორიკინა დიდი გამოცდილების მქონე ოსტატია. მან პრეტენდენტთა წინა ტურნირში დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი, მაგრამ შემდეგ წააგო მატჩი მსოფლიო ჩემპიონ ბიკოვასთან. გაფრინდაშვილი მრავალჯერ შეხვედრია ზვორიკინას. ბევრჯერ ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ ყოველთვის ღალატობდა ნებისყოფა, ჩქარობდა, გამომწვევად მიჰყავდა პარტია. მან მხოლოდ თბილის-ბათუმის 1961 წლის საერთაშორისო ტურნირში შეძლო ზვორიკინას დამარცხება.

თამაში დაიწყო ესპანური პარტიით. გაფრინდაშვილი შავებით ამ სადებიუტო სისტემას ოშვიათად იყენებს, რადგან მასში ნაკლებადაა საიერიშო გაგრძელებები. ესპანურ პარტიას პოზიციური თამაშის ღრმა ცოდნა ჭირდება. მაგრამ ამ შემთხვევაში ქართველ ოსტატს სურდა სიურპრიზი გაეკეთებინა გამოცდილი მეტოქისათვის. დასაწყისში პარტიამ პოზიციური ბრძოლის ხასიათი მიიღო. მანევრულ თამაშში, რომელშიც, თავისი გამოუცდელობის გამო ჯერ მოისუსტებს გაფრინდაშვილი, მან „შეუიარაღებელი“ თვალით შეუმჩნეველი რამდენიმე შეცდომა დაუშვა და იძულებული გახდა ყრუ დაცვაზე გადასულიყო. ყოველი სვლით მატულობდა ზვორიკინას დაწოლის ძალა. გაფრინდაშვილმა, რომელიც მთელი არსებით ვერ იტანს დაცვით თამაშს, პაიკის შეწირვით „ამოასუნთქინა“ თავის ფიგურებს და გააჩაღა კონტრთამაში, მაგრამ ზვორიკინა ფხიზლად იგერიებდა მუქარებს და თან ახშობდა ქართველი ოსტატის მზარდ ინიციატივას, როცა ზვორიკინამ გაამარტივა თამაში, საქმეში ჩაერია ციტნოტი.

გაფრინდაშვილს საერთოდ ეხერხება ელვისებური პარტიების თამაში. ამჯერად ეს მას გამოადგა. ზვორიკინამ არ მოინდომა ყაიმი სვლების გამეორებით, სწრაფ თამაშში კი იგი დაიბნა. გაფრინდაშვილი ეტლით შეიჭრა თეთრების ბანაკში და მაშინ, როცა უნდა შედგომოდა პაიკის დაბრუნებას, ამოიწურა თამაშის დრო. პარტია გადაიდო ეტლების დაბოლოებაში.

ტურნირზე დამსწრე ოსტატებისა და მწვრთნელ შიშოვის აზრით მოსალოდნელია ყაიმი.

არც ლაზარევიჩს დაადგა კარგი დღე. მისმა მეტოქემ პოლონელმა კონარკოვსკამ ძლიერად ჩაატარა იერიში და გაიმარჯვა. დიდი ენერგიით იბრძვის უნგრეთის ჩემპიონი კარაკაშნე. შოდე დე სილანს გაუჭირდა უნგრელის შეტევის მოგერიება და კარაკაშნემ ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა. იგი კვალში ჩაუდგა გაფრინდაშვილს. პოლიქრონიადემ მოუგო რინდერს, ხოლო ნიკოლაუმ — ჰეემსკერკს.

სამი პარტია გადაიდო. მწვავე ბრძოლის შემდეგ ვოლპერტმა ხარისხი მოუგო ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონს ლეინს, შეწყვეტილ პოზიციაში მოსალოდნელია საბჭოთა ოსტატის გამარჯვება.

VI ტურში ზვორიკინამ დაამარცხა ბორისენკო, ნიკოლაუმ — ვოლპერტი, ლაზარევიჩმა — ჰეემსკერკი, ზატულოვსკაია-ლეინის პარტია გადაიდო. დანარჩენი პარტიები ყაიმით დამთავრდა. გაფრინდაშვილი ისვენებდა.

გუშინ გათამაშდა გადადებული პარტიები. ყაიმზე შეთანხმდნენ ზვორიკინა და გაფრინდაშვილი, ბორისენკომ მოუგო ზატულოვსკაიას, ვოლპერტმა — ლეინს. ჰუნდსურენის პარტია გრესერთან ყაიმით დამთავრდა.

VI ტურის შემდეგ ლიდერობს ნ. გაფრინდაშვილი, რომელსაც 4,5 ქულა აქვს (5-დან), კარაკაშნეს და ლაზარევიჩს — 4,5 ქ. თვითეულს (6-დან).

ნ. გაფრინდაშვილი



კ. ზვორიკინა

უკანასკნელი
სტარტები

ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე 4 დღეს გრძელდებოდა ფიზკულტურის ინსტიტუტების მძლეოსანთა საკავშირო შეჯიბრება მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ომსკის, სმოლენსკის, ყაზახეთის, სომხეთისა და სხვათა გუნდების მონაწილეობით. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ლენინგრადელმა სპორტსმენებმა.

პირად პირველობაზე ქალთა შორის 100 და 200 მეტრზე რბენა მოიგო ლენინგრადელმა ნ. ტროფიმოვამ, ვაჟთა შორის — მისმა თანაგუნდელმა ვ. კუნარიოვმა. სიმაღლეზე ხტომაში კ. პუშკარიოვამ (მოსკოვი) დაძლია 165 სმ, ვაჟებში 2 მეტრის გადალახვით გაიმარჯვა ა. აგანინმა (მოსკოვი). ი. ბერზინმა (ლატვია) ბირთვი ჰკრა 16 მ 61 სმ-ზე და ლატვიის ახალი რეკორდი დაამყარა. ე. ოზოლინმა მოიგო შუბით მტყორცნელ ქალთა შეჯიბრება — 50 მ 76 სმ. ვაჟთა შორის პირველი იყო სტალინგრადელი ვ. კარატაევი — 68 მ 41 სმ.

ი. კუსიდი



ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში გაიმართა „ბურევესტნიკის“ მძლეოსანთა პირველობა. ამ სურათებზე თქვენ ხედავთ ვაუთა 100 მ რბენის ფინალს (მარჯვნივ) და იმას, თუ, როგორ ძლევს სიმაღლეს სპორტის ოსტატი თ. მდივანი (მარცხნივ).

ფოტო ი. იუნაევისა.

თეთრი ბურთი

იან ჰარისონი ლონდონელი ინჟინერია. იგი მოგვაგონებს ჯეკ ლონდონის გმირს — წარმოსადეგი, ახოვანი და ლამაზია. მან ამას წინათ მსოფლიო ჩემპიონ იაპონელ ოგიმურასთან მეტად ძნელი გამარჯვება მოიპოვა.

მანჩესტერელი ჯეკ ინგვერი — ქსოვილების გასაღების აგენტი, მარცხენა ხელით თამაშობს, იგი ისეთი აგრესიული არაა, როგორც ჰარისონი, მაგრამ უფრო ვერაგი. ორთაბრძოლაში იგი თავსა ხრის

მსოფლიო ჩემპიონატის წინ

დამთავრდა მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩები პირველ ჯგუფში. უკანასკნელ შეხვედრაში, ბერნში თამაშობდნენ შვეიცისა და შვეიცარიის ნაკრები გუნდები. როგორც ცნობილია, პირველ მატჩში შვეიცარიელები დამარცხდნენ — 0:4 და ამჯერად მათ მხოლოდ გამარჯვება აწყობდათ. შესვენებამდე ანგარიში იყო 1:1. მეორე ნახევარში შვედი ფეხბურთელები გადავიდნენ დაცვაში, რათა შეენარჩუნებინათ ანგარიში და სწორედ ეს იყო მათი შეცდომა. შეხვედრა მოიგეს შვეიცარიელებმა — 3:2. ამრიგად, ორივე ამ გუნდს დაუგროვდა 6–6 ქულა. გამარჯვებულის საბოლოო გამოსავლინებლად მათ შორის 12 ნოემბერს გაიმართება დამატებითი მატჩი.

დამატებითი მატჩი გახდა საჭირო VIII ჯგუფშიც. მას შემდეგ, რაც ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა პრაღაში დიდი ანგარიშით — 7:1 მოუგო ირლანდიის ნაკრებს, შოტლანდიელებთან ერთად მოაგროვეს 6–6 ქულა და ცხადია ჩილეში წასვლელიც ამ გუნდების დამატებით შეხვედრაში გამოვლინდება.

სოფიაში თამაშობდნენ ფინეთისა და ბულგარეთის გუნდები, ამ შეხვედრამდე ფრანგებს 6 ქულა ჰქონდათ, ბულგარელებს — 2, ფინელებს არცერთი. მატჩი მიმდინარეობდა ბულგარელთა უპირატესობით და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 3:1. ახლა ბულგარელებს დაუგროვდათ 4 ქულა და კიდევ ერთი მატჩი დარჩათ საფრანგეთის გუნდთან. ბულგარელთა გამარჯვების შემთხვევაში ამ ჯგუფშიც მოსალოდნელია დამატებითი შეხვედრა.

სამხრეთ ამერიკის უკანასკნელი წარმომადგენელი, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩილეს მსოფლიო ტურნირზე, გამოვლინდება პარაგვაი-მექსიკის გუნდების შეხვედრების შედეგად. პირველი შეხვედრა გაიმართა მეხიკოში. მატჩი მოიგეს მექსიკელებმა — 1:0. და ამ დროს ძალზე წააგავს გროსმაისტერ ტალს. ჯეკი საერთაშორისო ტურნირებში მრავალგზის გამარჯვებულია.

ბრიტანელთა გუნდის მესამე ნომერი ამოცანას წარმოადგენს. ცნობილია მარტო ის, რომ აქამდე მოკრძალებულმა სპორტსმენმა, ინგლისის უკანასკნელ ჩემპიონატზე ყველა, რაღაც განსაკუთრებული დარტყმის გამოყენებით დაამარცხა. მისი სახელი სტენ ჯეკობსონია. ტიტულები ჯერ არ გააჩნია, მასზე ლაპარაკობენ, რომ იგი თავის დროზე სენსაციას მოახდენს.

აი, ეს სამეული დადგა მწვანე მაგიდების ერთ მხარეს, რომლებსაც მაისურებზე ლომები ჰქონდათ ამოქარგული. ცოტა ადრე ამ გუნდმა დაამარცხა საბჭოთა სპორტსმენები მსოფლიო ჩემპიონატში.

მეორე მხარეს დადგნენ ბიუნები.

ისინი ფეხს ინაცვლებდნენ, პატარა ჩოგნები რაღაც უხერხულად ეჭირათ და ნერვიულად იხედებოდნენ დარბაზის სხვადასხვა მხარეს.

წუთით დავივიწყოთ „ლომებისა“ და ბიუნების ორთაბრძოლები და ვიმსჯელოთ სპორტის ამ სახეობაზე სხვა კუთხით. ბევრი მას „ბავშვურ გართობას“ უწოდებს. ეს ხომ პინგ-პონგია — მაგიდის ჩოგბურთი. ჩვენს ქვეყანაში სპორტის ამ სახეობით მილიონი კაცია გატაცებული.

თურმე, მაგიდის ჩოგბურთი ყველაზე უკეთ ზრდის ადამიანში რეაქციის სისწრაფეს. სპორტის თეორეტიკოსები წერენ: „ათასობით ადამიანები, რომლებიც იღუპებიან ხოლმე ტრამვაების, მატარებლებისა და ავტომანქანების ქვეშ, უმრავლეს შემთხვევაში ვერ ახერხებენ უპასუხონ მოახლოებულ საშიშროებას საჭირო მოძრაობით — სათანადო რეაქციით“. და აი ეს სწრაფად მფრინავი ცელულოიდის თეთრი ბურთი ადამიანებს მნიშვნელოვან სასიცოცხლო თვისებას უმუშავებს.

და ალბათ, ამ „გართობას“ მსოფლიო მასშტაბით ტყუილად არ ხელმძღვანელობს დიდი ინგლისელი — საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს წევრი, მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის თავმჯდომარე — აივორ მონტეგიუ.

ახლა კი შესაბამისი პატივისცემით დავუბრუნდეთ შეჯიბრებას დარბაზში, სადაც მიმდინარეობს ინგლისისა და საბჭოთა კავშირის გუნდების ამხანაგური შეხვედრა მაგიდის ჩოგბურთში.

...პირველი ნაბიჯი მაგიდისაკენ გადაიდგა ისე, როგორც წყალში. მოსკოვის ჩემპიონს ალიოშა ფორგს ჩოგანი უჭირავს ჰორიზონტალურად — „დიდი დანის“ მსგავსად. მთელი მსოფლიო თვლის, რომ ჩოგნის ასეთი დაჭერით მხოლოდ თავდაცვითი ბრძოლის ჩატარება შეიძლება. მაგრამ იგი ატარებს დარტყმას. შიში არ ემჩნევა. ინგლისელის შეტევას პასუხობს კონტრშეტევით. შემდეგ მარცხნიდან — მკვეთრად. და ისევ შეტევა. ეს თამაშის ულტრათანამედროვე სტილია. თორმეტი წლის ალიოშამ ოცდაათი წლის ჯეკ ინგვერი აიძულა გაეხსენებინა მთელი თავისი სატურნირო გამოცდილება. როცა ინგლისელი ხელს ართმევდა დაღლილ პიონერს, მთარგმნელის საშუალებით შემდეგი გვითხრა:

—მაქსიმუმი ორი წელი და ეს მოზარდი გამარჯვებულთა რისხვა იქნება.

სხვა მაგიდებთან იერიშზე არიან გადასულები 16 წლის ბროდსკი და 17 წლის კალნინში: შეტევას ისინი ავითარებენ წარმატებით, მაგრამ...

...მაგიდის ჩოგბურთელებზე 1957 წელს გერმანელმა ექიმმა ფრანკემ ჩაატარა მეცნიერული ექსპერიმენტები, აღმოჩნდა, რომ პინგ-პონგი სპორტსმენს იმდენადვე ტვირთავს, რამდენადაც ფეხბურთი.

და აი, ერთიმეორეზე დაიწყეს გასვლა ბრძოლიდან ჩვენმა დაღლილმა ჭაბუკებმა.

ფიზიკურად ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონი, მოსკოვის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტი გენადი ავერინი.

და აი ჰარისონი და ავერინი ერთმანეთს შეხვდნენ.

გაიარა დაზვერვის სტადიამ და თამაში განვითარდა მძაფრ ტემპში. მსუბუქი ავერინი ისე თამაშობდა მაგიდასთან, თითქოს ფრინავსო. მოკლე დარტყმებით ინგლისელს აიძულებდა მისულიყო ბადესთან, შემდეგ კი ბურთს კუთხეში უგზავნიდა. ჰარისონი ბურთს ხვდებოდა ბადესთან ოდნავ წამოწეულ მდგომარეობაში და ასე ურტყამდა მაგიდაზე. ავერინი წყვეტდა იერიშს ჰაერში და ბურთს მკვეთრად უცვლიდა მიმართულებას, ურტყამდა მოწინააღმდეგის საპირისპიროდ. ინგლისელი მოუხერხებელი მდგომარეობიდან პასუხობდა საშინელი ტოპ-სპინით (მაგიდის ჩოგბურთში უკანასკნელი სიახლე — დარტყმა ძლიერი დატრიალებით). გენადი ელვისებურად იცავდა თავს და თვითონ ასრულებდა მძაფრ და მკვეთრ დარტყმებს.

ტურნირის ჩემპიონი ჩვენი სპორტსმენი გახდა. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა დაამარცხა ინგლისის გუნდი ანგარიშით 5:0.

როცა მე შევეკითხე იან ჰარისონს, როგორი გუნებით მიდის შეჯიბრებიდან, ინგლისელმა ასე მიპასუხა:

— ძალზე დამწუხრებული.

— წაგებას თქვენ შემთხვევითობად თვლით?

— არა. ავერინი ძალზე გაიზარდა. და სწორედ ამიტომ ვარ დამწუხრებული. მე ვხედავ რა სწრაფად იზრდებიან თქვენი სპორტსმენები. თქვენ ნაკრებში არიან „სენდვიჩებისა“ და უბრალო ჩოგნის დაცვისა და შეუჩერებელი შეტევის, იაპონური „კალამით“ და საველური — „დიდი დანით“ ჩარტყმის მოყვარულები. მოკლედ თქვენ გყავთ საკუთარი „ამერიკელები“, „ჩინელები“ და „რუმინელები“. თქვენ შეითვისეთ პინგ-პონგის ყველა ფოკუსი. თქვენ მომზადებული ხართ. საბჭოთა კავშირში საუკეთესო პირობებია წვრთნისათვის... ჩვენ ეს არ გაგვჩნია...

ამასობაში „კრილია სოვეტოვის“ სასახლის ვესტიბიულში ტურნირის აღგზნებული მონაწილეები შეგროვილიყვნენ. ისინი იქნეოდნენ ხელებს, აჩვენებდნენ ერთმანეთს ავერინის უკანასკნელ მიწოდებას. კამათობდნენ „სენდვიჩის“ უპირატესობაზე და ყვიროდნენ: „ტოპ-სპინი“ — აი, ეს კი!.. ჩვენი სპორტსმენები ძალზე კარგ გუნებაზე იყვნენ.

ა. მიდლერი,
„ნოვოსტის“ კორესპონდენტი.

„ტოტენჰემმა“ დაამარცხა ლიდერი

კატასტროფული სტარტის შემდეგ თავის სატურნირო მდგომარეობას ინგლისის ჩემპიონატში თანდათან იუმჯობესებს ლონდონის „ტოტენჰემი“. ინგლისის ჩემპიონი ამ რამდენიმე ტურის წინ სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში იყო, ხოლო მე-14 ტურისათვის უკვე მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა. მის შეხვედრას ლონდონში გათამაშების ლიდერ „ბერნლისთან“ უნდა ნათელი გაეხადა, თუ თავისი წოდების შენარჩუნების როგორი შანსები აქვთ „ტოტენჰემს“ საბრძოლო მამლებს“.

შეხვედრას ესწრებოდა 60 ათასი მაყურებელი. „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ მწვრთნელმა ბილ ნიკოლსონმა ცუდ ფორმაში მყოფი სმიტი (№ 9) და ალენი (№ 10) შეცვალა ჭაბუკი ფეხბურთელებით სათადარიგო შემადგენლობიდან ფრენკ საულითა (№ 9) და ედი კლეიტონით (№ 10). საყურადღებოა, რომ ბობი სმიტის შემცვლელი საული მხოლოდ 18 წლისაა. უნდა ითქვას, რომ ჭაბუკმა ფეხბურთელებმა საუცხოოდ ჩაატარეს შეხვედრა.

უკვე მე-13 წუთისათვის „ბერნლისა“ და ინგლისის ნაკრების ცენტრფორვარდმა პოინტერმა ორი ბურთი გაიტანა ლონდონელთა კარში, მაგრამ „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ წინააღმდეგობა ვერ გატეხა. ლონდონელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და პირველი ტაიმის დამთავრებამდე მეტოქის კარში ზედიზედ სამი ბურთი გაიტანეს, რომელთა ავტორები იყვნენ ჯონსი (№ 7), საული და კლეიტონი. მეორე ტაიმი კვლავ ლონდონელთა უპირატესობით აღინიშნა და თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ჯონსმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანა. ამგვარად, „ტოტენჰემმა“ ანგარიშით 4:2 მოიპოვა მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

14 ტურის შემდეგ 21 ქულით ლიდერობს „ბერნლეი“, 18 ქულა აქვს ინგლისის ჩემპიონ „ტოტენჰემ ჰოტსპურს“. როგორც ჩემპიონის მენაჯერი ბილ ნიკოლსონი თავისი გუნდის გულშემატკივრებს დაპირდა, იგი მოლაპარაკებას აწარმოებს „მილანთან“ გრავსის შესახებ და ინგლისელი ფეხბურთელი მალე სამშობლოში დაბრუნდება, სადაც „ტოტენჰემის“ შემადგენლობაში ითამაშებს.

17 ქულა აქვთ „ევერტონს“, „იპსვიჩსა“ (პირველი ჯგუფის დებიუტანტი) და „ფულჰამს“. საყურადღებოა, რომ უკანასკნელ ორ ადგილზე არიან სახელოვანი კლუბები „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ (12 ქულა) და „ჩელსი“ (8 ქულა).

მეორე ლიგაში 22 ქულით ლიდერობს „ლივერპული“. პირველ ლიგიდან გადასული „ნიუკასლი“ და „პრესტონ ნორს ენდი“ შესაბამისად მე-14–16 ადგილებზე არიან.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლენინი“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ეე 05000